მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N9

ქ. წალენჯიხა

13 მაისი 2015 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:
საკრებულოს თავმჯდომარე თ. ღვინჯილია

საკრებულოს 29 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 24 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ასმათ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, დალი კვარაცხელია, ილია გულუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, ავთანდილ გაბელია, ივერ კვარაცხელია, ბესიკ ფარცვანია, ბორის კვარაცხელია , ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, ლევან შელია, დავით ფიფია, ცოტნე მესხია, ვლადიმერ კვარცხელია, ნონა კვარაცხელია, მარინა კალანდია, ელგუჯა მესხია,

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები:გიორგი ლუკავა, თენგიზ ფიფია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების, ა(ა)იპ –ების , საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 13:00სთ.
სხდომა დასრულდა: 13:45 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრების მიერ სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი:ვ.გაბელია–იურიდიულ. სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ვ.გაბელია–იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 19 დეპუტატი, წინააღმდეგი 5 – ივერ კვარაცხელია, ცოტნე მესხია, მარინა კალანდია, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N26) .

მოისმინეს: 2. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ,“ სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ გაბელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 – მარინა კალანდია, ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N28) .

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26

2015 წლის 13 მაისი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლისა და 23–ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №54 დადგენილებაში (www.macne.gov.ge, 07/11/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010340000.35.104.016200) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის 69[1] მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 69[1]. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულში

გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტს ადმინისტრაციულ ერთეულში გარდა ამ დანართის პირველი მუხლით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა დამატებით მოეთხოვება:

ა) სასურველია უმაღლესი განათლება;

ბ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა: (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel).“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს მიღების თარიღიდან.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთავმჯდომარე **თემურ ლეინჯილია**

საქართველო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
GEORGIA
COUNCIL OF MUNICIPALITY OF
TSALENJIKHA
5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.N5. ტელ : (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha, Georgia. Tel. (+995)595 24 20 05; (+995)591 06 41 41;
E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; tgvinjilia@gmail.com. www. tsalenjikha-Sakrebulo.ge

ქ. წალენჯიხა

13 მაისი 2015 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N28

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 მარტის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“–ს 63-ე მუხლის შესაბამისად,

1.შეტანილ იქნეს ცვლილება „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 მარტის N14 განკარგულებაში და განკარგულების პირველ მუხლს დაემატოს „ვ“ და „ზ“ პუნქტი:

„ვ) გელა სალია-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების უფროსი.
ზ) ლევან მატუა- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმარების ქონების მართვისა და სტატისტიკური აღრიცხვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში“.
2. განკარგულება ძალაშია, გაცნობისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. (მის. ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N12)

საკრებულოს თავმჯდომარე: თემურ ღვინჯილია